

თბილისის ყოფილი მერი ვანო ზოდერავა გარდაიცვალა



თბილისის ყოფილი მერი
ვანო ზოდერავა
ხანგრძლივი
ავადმყოფობის შემდეგ,
61 წლის ასაკში
გარდაიცვალა. ამის
შესახებ ინფორმაცია
[imedinevs](#)-ს ოჯახის
ახლობლებმა
დაუდასტურეს.

ვანო ზოდერავა აზერბაიჯანის საზღვრიდან თბილისისკენ მომავალ გზაზე ავტოავარიაში 2017 წლის ივლისში მოყვა. ავარიის დროს მან თავის ტრავმა მიიღო. ავარიის შემდეგ ზოდერავა “ნიუ ჰოსპიტალში” მძიმე მდგომარეობაში შეიყვანეს და მას ტრეპანაცია (თავის ქარის გაკვეთის ოპერაცია) ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო.

ავტოავარიის შემდეგ დღემდე ის თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში (არამიანცი) მკურნალობდა.

ივანე ზოდერავა 1997-1998 წლებში ქარაქ ფოთის მერი, ხოლო 1998-2004 წლებში თბილისის მერი იყო.